თანამშრომელთა მოტივაციის განსხვავებები საჯარო და კერძო სექტორების (ფინანსური სექტორი) მაგალითზე

მაგისტრანტი ნინო ბექირიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ჭანუყვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბექირიშვილი

03.07.2022

აბსტრაქტი

მოტივაცია არის ადამიანის მამოძრავებელი ძალა კონკრეტული ქმედების განხორციელებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დასაქმებულ ადამიანს ჰქონდეს მაღალი მოტივაცია, რათა ხარისხიანად შეასრულოს მისთვის დაკისრებული საქმე. ეს საკითხი ყველა დროის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სწორედ ამიტომ გახდა მეცნიერებისთვის საინტერესო კვლევის ობიექტი.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემუშავებული მოტივაციის თეორიები. ასევე გაანალიზებულია მოცემულ თემაზე შესრულებული სხვადასხვა ნაშრომები და ჩატარებული კვლევები, რითიც შევისწავლეთ თუ რამდენად არის განვითარებული სამოტივაციო სისტემები წინა პერიოდთან შედარებით.

წინამდებარე ნაშრომში ასევე განხილულია საჯარო და კერძო სექტორებში (კერძოდ, ფინანსების სექტორში) დასაქმებული ადამიანების ინტერესები და მოტივაციის წყაროები. ასევე მიმოხილულია თანამშრომელთა მოტივაციის გავლენა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ კერძო და საჯარო სექტორებში დასაქმებული ადამიანების ინტერესები და მოტივაციის წყაროები განსხვავდება ერთმანეთისგან.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადამოწმდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის გამოყენებით, კერძოდ, ონლაინ გამოკითხვით, ფოკუს ჯგუფითა და ჩაღრმავებული ინტერვიუებით. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულმა ადამიანებმა, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში გამოიკითხა კერძო და საჯარო სექტორების ადამიანური რესურსების მენეჯერები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადასტურდა საკვლევი ჰიპოთეზა. რესპოდენტებმა ასევე ისაუბრეს იმ საკითხებზე, თუ რა პრობლემებია სხვადასხვა კომპანიებში/ორგანიზაციებში მოტივაციაზე ზრუნვის კუთხით და რა მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა მოტივაციას კომპანიის ზრდასა და განვითარებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოტივაცია, საჯარო სექტორი, კერძო სექტორი

Abstract

Motivation is the driving force of the person to move towards the goal and perform appropriate activities. Therefore, it`s important for employee to have high motivation, to do her/his work with a high quality. This issue is the all time real problem. That's is the reason why scientists research this topic.

This paper examines various theories of famous scientists. Also, there are analyzed various papers and researches, which are appropriate to the given topic. Learning this paper and researches gave us the chance to learn how the motivational systems developed compared to the previous period.

In this paper there is also discussion about the interests and sources of motivation of people employed in the public and private sectors (particularly in the financial sector). Moreover, there is talked about the influence of motivational system on the quality of work performed. Therefore, the aim of the study was to confirm that employees` interests and sources of motivation are different in public and private sectors.

The hypothesis was tested through the qualitative and quantitative research methods, particularly online survey, focus groups and depth interview. In the focus group participated employees, who work in public and private sectors and in the part of an in-depth interview, the participants were human resources managers of above mentioned sectors.

Based on the results of the study, the first research hypothesis was confirmed. The respodents talked about the main problems, which are in different companies/organizations in terms of taking care of employee motivation and how important is high employee motivation for company`s growth and development.

Keywords: Motivation, Public sector, Private sector